



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 063/18<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სოფიკო პეტრიაშვილი (სტუდენტი)

### საქმის ფაქტები

ადვოკატი იურიდიულ მომსახურებას უწევდა კომპანია „X-ს“ არაერთ საქმესთან დაკავშირებით. ადვოკატი კომპანიასთან თანამშრომლობის პერიოდში, სხვადასხვა საქმეზე გაცემდა იურიდიულ კონსულტაციას, წარმოადგენდა კომპანიის ინტერესებს სასამართლოში. ადვოკატი დავალებებს იღებდა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რის თაობაზეც მას ინფორმაციას აწვდიდნენ კომპანიის თანამშრომლები. შესაბამისად, ადვოკატი ფლობდა კომპანიის საქმიანობისა და მიმდინარე დავების შესახებ ინფორმაციებს. ადვოკატმა ერთ-ერთ საქმეში წარმოადგინა მოსარჩელის - კომპანია „X-ის“ ყოფილი თანამშრომლის ინტერესები - კომპანია „X-ის“ წინააღმდეგ. გაცემული მინდობილობის საფუძველზე, კომპანია კომპანია „X-ის“ ყოფილი თანამშრომლმა წარმომადგენლობის უფლებამოსილება მიენიჭა ადვოკატს სასამართლოს ყველა ინსტანციაში საქმის წარმოებისას.

### პროცესუალური ისტორია:

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას მიმართა კლიენტმა - კომპანია „X-მა“ და მოითხოვა ადვოკატის დისციპლინირება. საპროცესო კოლეგიამ აღძრა ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 7(ა), 8.1 და აპეკ-ის 4.1 და 6.1, 6.2(ა) მუხლების დარღვევის ფაქტებზე.

### სამართლებრივი შეფასება:

ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი, რისი დაცვის ვალდებულება ადვოკატს იურიდიული მომსახურების გაწევისას გააჩნია, არის კლიენტის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა. ყოველი ახალი კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას, ადვოკატმა არ უნდა დაუშვას პროფესიული საიდუმლოება საფრთხის ქვეშ დადგეს და გამოიყენოს ის ახალი კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. ადვოკატსა და კომპანიას შორის არსებობდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. ადვოკატს გააჩნდა პროფესიული პასუხისმგებლობა ყველა იმ საქმის მიმართ, რასაც კომპანიაში მუშაობის დროს აწარმოებდა. შპს-სთვის სხვადასხვა საკითხებზე საადვოკატო მომსახურების გაწევის შედეგად, ადვოკატი ფლობდა კომპანიის საქმეებზე ინფორმაციას, რაც წარმოადგენს პროფესიულ საიდუმლოებას. კერძოდ, ადვოკატი კომპანიასთან თანამშრომლობის პერიოდში, სხვადასხვა საქმეზე გაცემდა იურიდიულ კონსულტაციას, წარმოადგენდა კომპანიის ინტერესებს სასამართლოში

აღნიშნულ შემთხვევაში, ადვოკატს გააჩნდა პროფესიული პასუხისმგებლობა ემოქმედა ეთიკური ვალდებულებების დაცვის ფარგლებში და შეეფასებინა, წარმომადგენლობის განხორციელებით, საფრთხე შეექმნებოდა თუ არა ყოფილი კლიენტის - კომპანიისგან მიღებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას. კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ერთმანეთს დაუპირისპირდა არა ყოფილი და არსებული კლიენტის საქმეები, არამედ ყოფილი კლიენტისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებიდან გამომდინარე ერთმანეთს დაუპირისპირდა მათი ინტერესები.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5db6cb4ebb18b.pdf/063.18%2026.02.2019%20kerzo%20sarekomendacio.pdf>

## დასკვნა:

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მხრიდან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 8.1 და აპეკ-ის 6.2(ა) მუხლების დარღვევა. კომისიამ არ დაადგინა აპეკ-ის 6.1 მუხლის დარღვევა. ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.